



1. ზოგადი ხედვა: რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ყველაზე დიდ ამოცანად?

საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, მას აქვს საკანონმდებლო ორგანოზე ზემოქმედების ბერკეტი და უმაღლესი ტრიბუნა, რათა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე. ჩემი აზრით, პრეზიდენტის უმთავრესი ფუნქციები იქნება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე, უსაფრთხოებასა და საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობაზე დროის დახარჯვა, თავისუფლების შემზღვევად კანონებზე ვეტოს დადება, პრეზიდენტის ტრიბუნის გამოყენება მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების წინ წამოსაწევად, მასზე მსჯელობის გასამართად და გადასაწყვეტად.

2. განათლება: როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

საქართველოში განათლების სფერო არის კატასტროფულად მავნებლურად რეგულირებული. განათლებას სჭირდება თავისუფლება. უნდა დაინგრეს ძველი, საბჭოთა განათლების სისტემა და კერძო ბიზნესს უნდა მიეცეს საშუალება, თავად მიაწოდოს მისთვის და კლიენტისთვის სასურველი სერვისი მომხმარებლებს. სახელმწიფომ, მაქსიმუმ, გაჭირვებულ ადამიანებს დაუფინანსოს განათლება. განათლების შინაარსი, ხარისხი და მენეჯმენტი მთლიანად უნდა იქცეს კერძო სფეროს პრეროგატივად.

3. გადასახადები: თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?

გადასახადები უნდა იყოს მცირე. კარგი იქნება, თუ საქართველო ნელ-ნელა წავა საშემოსავლო და მოგების გადასახადის გაუქმებისკენ. ქონების და იმპორტის გადასახადის წილი ბიუჯეტში ისედაც მცირეა. თავისუფლად შეიძლება, დღეს არსებული 6 გადასახადიდან, 2 წელიწადში დაგვრჩეს 2 გადასახადი - აქციზი და დღგ. ეს მნიშვნელოვან პოზიტიურ ეფექტს მისცემდა საქართველოს ეკონომიკას.

4. ეკონომიკა: როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად?

ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის საჭიროა გადასახადების და რეგულაციების შემცირება, სასამართლო სისტემის რეფორმა, საკუთრების უფლების დაცვა, ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერება, რათა საკუთრება და აქ ჩადებული კაპიტალი დაცული იყოს გარე აგრესიისგან. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილებების პირობებში, საქართველოს შეუძლია, 1 წელიწადში ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს.

5. დასაქმება: თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

უმუშევრობის დაძლევა უნდა მოვიდეს სწრაფი ეკონომიკური ზრდის პარალელურად. სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს ბიზნესს სამუშაო ადგილების შექმნაში, შეამციროს გადასახადები, შეამციროს სამთავრობო ხარჯები, გააუქმოს რეგულაციები, რომელიც კლავს სამუშაო ადგილებს.



6. ჯანდაცვა: რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს, რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალდეს მისი ხარისხი?

ჯანდაცვა უნდა დაუფინანსდეს მხოლოდ მათ, ვინც ამას საჭიროებს. ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯი არის ჩვეულებრივი სოციალური ხარჯი, სოციალური ხარჯი კი, მისი შინაარსით, შედარებით შეძლებულების მიერ შედარებით გაჭირვებულების დაფინანსებას გულისხმობს.

7. სოციალური უსაფრთხოება: რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?

სოციალური დახმარების სისტემა მთლიანად უნდა შეიცვალოს. განათლების დაფინანსებაც, ჯანდაცვის, პენსიების თუ სხვა ხარჯებიც არის სოციალური ხარჯები. ისინი უნდა მიიმართოს მიზნობრივად მხოლოდ ღარიბი ოჯახებისკენ.

8. ნარკოპოლიტიკა: ქვეყანაში მნიშვნელოვანი დისკუსია მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკა. როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხზე?

ნარკოტიკები უნდა იყოს ლეგალური. ეს არის ერთადერთი გზა იმისთვის, რომ შევცვალოთ ის საშინელი რეალობა, რომელიც შექმნა არაადამიანურმა ნარკოპოლიტიკამ.

9. ადგილობრივი თვითმმართველობა: თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?

დღეს თვითმმართველობა არის მმართველობის ნაწილი და პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ადგილი. თვითმმართველობებს უნდა ჰქონდეს რეალური ფინანსური ავტონომია და გააჩნდეთ საკუთრება, თუ გულწრფელად გვინდა რომ თვითმმართველობა არსებობდეს.

10. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?

სანამ ღარიბი ქვეყანა ვართ, გაგვიჭრიდება ვიყოთ მიმზიდველები ჩვენი აფხაზი და ოსი თანამემამულეებისთვის. ამიტომ ეკონომიკის სწრაფი ზრდა და მდიდარი და განვითარებული საქართველო არის ერთადერთი გზა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.

ყველა ადამიანი თანასწორია და შესაბამისად, გააჩნია თანაბარი უფლებები. მე მჯერა, რომ არ არსებობს უფლებები, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფურ იდენტობასთან, იქნება ეს ეთნიკური, გენდერული თუ სხვა. არსებობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ისინი ერთია ნებისმიერი ადამიანისთვის განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, რასისა და ა.შ.



12. ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები: როგორია თქვენი ხედვა ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციის თაობაზე?

ყველა ადამიანი თანასწორია და შესაბამისად, გააჩნია თანაბარი უფლებები. მე მჯერა, რომ არ არსებობს უფლებები, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფურ იდენტობასთან, იქნება ეს ეთნიკური, გენდერული თუ სხვა. არსებობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ისინი ერთიან ნებისმიერ ადამიანისთვის განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, რასისა და ა.შ.

13. სექსუალურ უმცირესობათა უფლებები: რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?

ყველა ადამიანი თანასწორია და შესაბამისად, გააჩნია თანაბარი უფლებები. მე მჯერა, რომ არ არსებობს უფლებები, რომელიც დაკავშირებულია ჯგუფურ იდენტობასთან, იქნება ეს ეთნიკური, გენდერული თუ სხვა. არსებობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და ისინი ერთიან ნებისმიერ ადამიანისთვის განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, რასისა და ა.შ.

14. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომელიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ.

მხოლოდ კერძო ინტერესების გაზრდა, საკუთრების უფლების გაძლიერება და პრივატიზაცია წარმოშობს სტიმულს ეფექტურად და ეფექტიანად გამოვიყენოთ ბუნება ადამიანებმა, ისე რომ მას ნაკლები ზიანი მიადგეს.

15. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის, სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებას ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

საქართველოს ადგილი არის ნატოსა და ევროკავშირში. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ერთ დღესაც ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი გავხდეთ. ოღონდ ეს უნდა გავაკეთოთ გონივრულად, რომ ევროკავშირისკენ სვლის პროცესში არ გადმოვიღოთ უამრავი არასწორი მიდგომა, რომელიც არსებობს ევროკავშირის ბაზარზე და ამით ხელი არ შევუშალოთ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

16. საქართველო და ევროკავშირი: (თუკი ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკა) თქვენი აზრით, რა უნდა იყოს საქართველოს შემდეგი ნაბიჯი ან დიპლომატიური ინიციატივა ევროინტეგრაციის გზაზე?

საქართველოს ადგილი არის ნატოსა და ევროკავშირში. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ რომ ერთ დღესაც ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი გავხდეთ. ოღონდ ეს უნდა გავაკეთოთ



გონივრულად რომ ევროკავშირისკენ სვლის პროცესში არ გადმოვიღოთ უამრავი არასწორი მიდგომა რომელიც არსებობს ევროკავშირის ბაზარზე და ამით ხელი არ შევუშალოთ ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

17. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

ჩვენ გვჭირდება კეთილმეზობლური ურთიერთობა და მაქსიმალურად ღია ეკონომიკური კავშირები რეგიონის ქვეყნებთან.

18. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

საქართველომ ამ ეკონომიკის პირობებშიც კი გაცილებით მეტი უნდა დახარჯოს თავდაცვისთვის. ჩვენ გვჭირდება ძლიერი თავდაცვა, რასაც სჭირდება მეტი დაფინანსება.

19. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

საქართველოს უსაფრთხოების ქვეკუთხედის ნაწილებია საერთაშორისო თანამშრომლობა, ძლიერი ეკონომიკა და ძლიერი თავდაცვა.